სააპელაციო საბჭო

16/12/2024

MES 5 24 0001617757

გადაწყვეტილება

"შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს №1018951 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში №01/164 სააპელაციო საჩივრის (№1110132, 12/09/2024), სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს №1018951 გადაწყვეტილებისა და სხდომის №1018796 ოქმის, სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28^5 მუხლის პირველი პუნქტისა და 28^7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. გაზიარებულ იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს №1018951 გადაწყვეტილება "შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ";
3. სააპელაციო საბჭოს 2024 წლის 16 დეკემბრის №1617750 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა;

5. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

ელექტრონული ფორმატი
ზუსტი ასლია
ელექტრონული